


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბრძოლით ბეჭდუდი სიფყვას, ცყდილებით და ჭაბრით ბუბთის გაფანა ყუელა უჯადრისდბაჩე უსამაგლესია.

**დაარსებულია**  
1918 წელს.

ოთხშაბათი, **24** ივნისი, 2015 წელი.  
№115 (7760)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@top.ge](mailto:sakresp@top.ge) ვებ გვერდი: [www.sakresp.ge](http://www.sakresp.ge) ფასი 50 თეთრი.

**SOS:**

**საქართველო ტერორიზმის წყაროდ რჩება!** ③

**აპოკალიფსის რეპეტიციები**

**მდინარე ვერას რეფორმა** ④

**თბილისში 50-მდე მენყარსაშიში სპონა, სდას პრაპინ იცის, როდის რა მოხდება** ④

**გამჭვირვალე თავდასვბ, MAP-ი და უბედური ქვეყნისთვის გამოუსადეგარი „კუმე“ - უპეულეფრენი...** ⑤

**დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად**

სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარების მიზნით, ახალი ვებგვერდი [help.tbilisi.gov.ge](http://help.tbilisi.gov.ge) ამუშავდა. ახალი საიტის წარდგინება დედაქალაქის მერიაში ვიცე-მერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გამართა.

როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, აღნიშნული ვებ-გვერდის მეშვეობით მოქალაქეებსა და კომპანიებს დაზარალებულთა დახმარების შესაძლებლობა აქვთ.

ვებგვერდზე საჭიროებები დაჯგუფებულია სხვადასხვა მიმართულებით.

საიტზე საჭიროებები დაყოფილია 4 კატეგორიის მიხედვით. ეს კატეგორიებია: დახმარება საჭიროებების მიხედვით, დახმარება ოჯახების მიხედვით, ტექნიკური დახმარება და სხვა სახის მხარდაჭერა.

„პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ვებ-გვერდი არის ძალიან გამჭვირვალე, ინტერაქტიული, ყველა დაპირება, რომელიც ვებ-გვერდზე კეთდება, პრაქტიკულად იმ წუთშივე აისახება და შემდგომ ყველასთვის ხელმისაწვდომია. დაპირების შემდეგ ჩვენი ოპერატორები უკავშირდებიან ქველმოქმედს, მასთან აზუსტებენ ყველა დეტალს და ესმარებიან, რომ მან თავისი დაპირება აასრულოს“, - განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, კარგი იქნება, თუ დაზარალებულ ოჯახებს ზღვისპირა ან მთაში განთავსებულ სასტუმროებში დასვენებას შესთავაზებენ.

ამასთან, ვებ-გვერდზე მოცემული არის საქველმოქმედო ანგარიში, სადაც თანხის გადარიცხვა შესაძლებელია.

**2** მოქალაქეებს, რომლებსაც სხლი სრულად გაუნადგურდათ, მუდმივი სასსოვრებალი მიეცემათ

**უნიკალურ კვლს ხელისუფლებამ გვიან მიამსია ყურადღება** ⑮

მსოფლიო მნიშვნელობის „პელეს თასზე“ საერთაშორისო ტურნირის ჩატარება ფეხბურთში არა მხოლოდ ქართული ფეხბურთის განვითარებას, არამედ საქართველოს ეკონომიკურად განვითარებასა და საქართველოსა და „მერკოსურის“ ქვეყნებს შორის კულტურულ-სპორტული და სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურება.

„ძალიან საინტერესოა თუკი საქართველოში ამ ტურნირის მოწყობა შესაძლებელი გახდება. ამისათვის დეტალურად იქნება გასაგებელი ორგანიზაციული საკითხები, ვინ იღებს პასუხისმგებლობას ამ გუნდების ჩამოყვანაზე და ა.შ. ვფიქრობ, სახელმწიფოს მხრიდან თანამშრომლობაზე დადებითი პასუხი იქნება, რადგან მივიჩნევთ, რომ ქვეყანაში მსგავსი ღონისძიებების გამართვა სპორტის, ფეხბურთის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია“.

კახი კალაძე

**ხელს გაინს ნუ უეუღლიან** ⑭





ფოტოგრაფია



# SOS: საქართველო ტერორიზმის წყაროდ რჩება!

„აზო შიშველია, რომ საქართველო რჩება საერთაშორისო ტერორიზმის წყაროდ და ტრანზიტულ ქვეყნად“, – ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ტერორიზმის შესახებ გამოქვეყნებულ 2014 წლის ანგარიშში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გასულ წელს საქართველო აშშ-სთან ერთად კონტრტერორისტულ საკითხებთან დაკავშირებით მჭიდროდ თანამშრომლობდა.

„მედიაში გავრცელებული ცნობით, დეკემბრის მონაცემებით, სირიასა და ერაყში „ალ-ქაიდასა“ და „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს ძირითადად, მუსლიმებით დასახლებული რეგიონებიდან – აჭარაიდან და პანკისის ხეობიდან წასული 50-დან 100-მდე ქართველი იბრძოდა, მათ შორის არის „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი თარხან ბათრაშვილი (იგივე ომარ ალ-შიშანი). საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ისლამისტი ექსტრემისტები აგრძელებენ ქვეყნის გავლით რუსეთის ჩრდილო კავკასიის რეგიონიდან სირიასა და ერაყში გადასვლას“, – აღნიშნულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობა უცხოელ ტერორისტებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების ინიციატივით გამოვიდა და თურქეთთან საზღვარზე უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით რეგულაციები შეცვალა. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია დაზვერვის შესახებ კანონმდებლობის განახლების და საქართველოს მთავრობის მიერ ახალი უწყებათაშორისი მექანიზმის შექმნის შესახებაც, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მთავარ კონტრტერორისტულ ოპერაციებს უზრუნველყოფს. დოკუმენტში საუბარია სასაზღვრო დაცვის გაძლიერების უზრუნველყოფაზეც.

„საქართველო აგრძელებს სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერებას, იმისათვის, რომ მოიპოვოს ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის უფლება. თუმცა, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების – სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე კონტროლის არარსებობა და მოსკოვთან დაძაბული ურთიერთობა, ქვეყანას ნაკლებ შესაძლებლობას აძლევს, დაიცვას ჩრდილოეთი საზღვარი“, – აღნიშნულია ანგარიშში.

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს, სადაც პირდაპირ წერია, რომ საქართველო ტერორიზმის ერთგვარ წყაროდ რჩება, ქვეყნის პირველი პირი გამოეხმაურა. როგორც პრეზიდენტი აცხადებს, ქვეყანა ტერორიზმის წინააღმდეგ ყველაფერს აკეთებს, თუმცა, აქვე აცხადებს, რომ ამ მხრივ მუშაობა კიდევ უნდა გაძლიერდეს.

„ჩვენ არ გამოვვლებივართ არც ერთ ინიციატივას, არა მატრო პოლი-

## სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საქართველოს რეალურ სახეობას

ტიკური, არამედ რეალური სამხედრო ჩართულობის სახით, რომელშიც საქართველო მონაწილეობდა და მონაწილეობს. იცით, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მოღვაწეობენ ავღანეთში. ასევე, ევროკავშირის მისიის ფარგლებში წარმოდგენილი ვიფავით ცენტრალური აფრიკის ქვეყნებში. ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ ამ სფეროში და ბუნებრივია, რომ ეს საკითხები ქართული მხარის ძალიან მაღალი პასუხისმგებლობის მეშვეობით ლაგდება“, – აცხადებს გიორგი მარგველაშვილი.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ანგარიშში დადებითად შეფასდა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მიმართულიებული საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ზომები. უწყების პრეს-სპიკერის დავით კერესელიძის განცხადებით, განსაკუთრებით დადებითად არის შეფასებული საქართველოს მიერ კონტრტერორისტული კანონმდებლობის გაძლიერებისკენ მიმართული ნაბიჯები, კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ინიცირებული ცვლილებები.

„ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველომ აგრეთვე შეცვალა რეგულაციები, რათა ქვეყნის საზღვრებზე უსაფრთხოება გაეძლიერებინა. ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთავრობას აქვს შესაძლებლობები, აღმოაჩინოს, თავიდან აიცილოს და საჭიროების შემთხვევაში, უპასუხოს ტერორისტულ ინციდენტებს.“

დადებითად არის შეფასებული საქართველოს მიერ შემუშავებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ფულის გათვრების და ტერორისტების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. ანგარიშში ასევე აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიაშვილის მიერ გაცხადებული მზაობა, საქართველომ პუმანიტარული დახმარება გაუწიოს ISIL-ის წინააღმდეგ გლობალურ კოალიციას“, – აცხადებს დავით კერესელიძე.

აქცენტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ტრანზიტად გამოყენების საფრთხეზე აკეთებს თავდაცვის მინისტრი. თინა ხიდაშელის განცხადებით, რუსეთის მხრიდან შესაძლოა, ოკუპირებული ტერიტორიების არასწორი მიზნებისთვის გამოყენება მოხდეს.

„ოკუპირებულ ტერიტორიებს და საოკუპაციო ზოლს ვერ ვაკონტროლებთ, სერიოზული საფრთხე არსებობს. ეს კონფლიქტი დომინირებს საერთაშორისო დღის წესრიგში და

ეს სწორია. მაგრამ ისეთი უპასუხისმგებლო სახელმწიფოსთვის, როგორც ჩვენი მუზობელია, არ არის გამორიცხული ამ ტერიტორიების არასწორი მიზნებისთვის გამოყენება მოხდეს“, – აცხადებს თინა ხიდაშელი.

„სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის – საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარის ბესიკ ალადაშვილის განცხადებით, სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში სამსახურ რეალობას ასახავს. მისივე თქმით, ორი ათეული წელია ხელისუფლება სათანადოდ ვერ აკონტროლებს ეთნიკურად მუსლიმი მოსახლეობით დასახლებულ რაიონებს და ბუნებრივია, რომ ხშირია მათი გადინება ქვენიდან და შეერთება სხვადასხვა ტერორისტულ დაჯგუფებებთან.

„როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის სმამალა განცხადება, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტი აქვს ინფორმაციის უამრავი წყარო, გარდა აშშ-ის სადაზვერო სააგენტოსი, დასაჯავს თავისი სადაზვერო დანაყოფი, საელჩო, ინფორმაციის გადამუშავების უზარმაზარი მანქანა, ჩვენზე ინფორმირებულები არიან და შეიძლება მათ უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე ჩვენ.“

ალბათ, ამ ანგარიშს ცივი შხაპის ეფექტი უნდა ჰქონდეს, რათა ხელისუფლება მიხვდეს, მართლაც არაა მთავარი, რომ შეიარაღებული და საკმაოდ ვარგად განვითარებული სპეცრაზმელები გვეყავდეს. მთავარია ანალიტიკოსები, აგენტურული მუშაობა, პერსონალი, რომლითაც შევძლებთ პრევენციის მოხდენას და შედეგად იქნება. როცა შედეგი იქნება, ასეთი განცხადებებიც არ იქნება ჩვენი მეგობრების მხრიდან“, – აცხადებს ალადაშვილი.

რაც შეეხება, დაზვერვის შესახებ კანონმდებლობის განახლების და საქართველოს მთავრობის მიერ ახალი უწყებათაშორისი მექანიზმის შექმნას, ალადაშვილი აცხადებს, რომ აუცილებელია ინსტიტუციონალური ცვლილებები, მაგრამ მეორეა რეალური მოქმედებები, რამდენად მუშაობენ და ასრულებენ კანონის მოთხოვნებს სახელმწიფო ინსტიტუტები.

„კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ დღეს საქართველოში კონტრდაზვერვითი მუშაობა, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა ექსტრემისტული დაჯგუფების განვითარება, სამსახურად, ეს კონტრდაზვერვითი სამუშაოები არ მიმდინარეობს. რაც შეეხება ანტიტერორისტულ მუშაობას და კონტრტერორისტულ ცენტრს, ძირითადად, მათი მუშაობა მომხდარზე რეაგირებაა, პრევენცია ცოტა ნაკლებია. მიუხედავად კანონმდებლობაში ცვლილებებისა, სახელმწიფო ინსტიტუტები ეფექტურად და სათანადოდ ვერ მუშაობენ“, – ამბობს ბესიკ ალადაშვილი.

თამთა ძარჩავა

ალიან-ჩალიანი

## რით ვხმარებით ავღანეთში დაღუპულთა და დაჭრილთა ოჯახებს?

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი 2013-2015 წლებში ავღანეთში დაღუპული და დაჭრილი ქართველი სამხედროების ოჯახებისთვის განწეული ფინანსური დახმარების სტატისტიკას ავრცელებს.

IDFI-ის ინფორმაციით, 2015 წლის 24 აპრილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიიღეს 2013-2015 წლებში ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის მისიაში (ISAF) მონაწილეობისას დაღუპული და დაჭრილი საქართველოს სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახებისათვის განწეული ფინანსური დახმარებების შესახებ ინფორმაცია.

როგორც აღნიშნული მონაცემები აჩვენებს, ავღანეთის სამშვიდობო მისიაში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ყველაზე დიდი დანაკარგი 2013 წელს განიცადა, როდესაც დაიღუპა 10 და დაიჭრა 137 სამხედრო მოსამსახურე. 2014 წელს ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისას დაიჭრა საქართველოს 7 სამხედრო მოსამსახურე.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით 2013 წელს დაღუპული 10 სამხედრო მოსამსახურის ოჯახს იმავე წელს ჯამში გაენიჭა 1 075 677 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება. 2013 წელს დაღუპული ერთ-ერთი სამხედრო მოსამსახურის ოჯახს 2015 წელს დამატებით გაენიჭა 677 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.“



იმავე წელს დაჭრილი 137 სამხედრო მოსამსახურიდან, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე, ფინანსური დახმარება გაენიჭა 25 სამხედრო მოსამსახურეს ჯამში – 260 187 ლარი. 2013 წელს დაჭრილ ერთ-ერთ სამხედრო მოსამსახურეს 2015 წელს დამატებით გაენიჭა აგრეთვე ფინანსური დახმარება 10 000 ლარის ოდენობით.

2014 წელს დაჭრილი 7 სამხედრო მოსამსახურიდან, ერთ-ერთ მათგანს გაენიჭა 2 960 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.

ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის მისიაში საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობას იღებენ 2009 წლის ნოემბრიდან. ზემოთ წარმოდგენილ მონაცემებთან ერთად, განვიხილავთ საერთაშორისო თავდაცვის სამინისტროდან მიღებული და პრესაში გავრცელებული ავღანეთში დაღუპული და დაჭრილი საქართველოს სამხედრო მოსამსახურეების შესახებ ცნობები საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ სრული მონაცემები 2010 წლიდან 2015 წლის აპრილის თვემდე აღნიშნული მისიაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ განწეული მსხვერპლის შესახებ, რაც მოიცავს 29 დაღუპულ და 274 დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეს.

ზემოთ წარმოდგენილი მონაცემების გარდა, IDFI-მ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართა აგრეთვე 2014-2015 წლებში უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისას დაღუპული და დაჭრილი ყოფილი ქართველი სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახებისათვის განწეული ფინანსური დახმარების შედეგად ინფორმაციის მოთხოვნა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ინსტიტუტის აღნიშნული მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა.“

## ქართველი ემიგრანტები სტიქიით დაზარალებულებს ხმარობენ

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველები 13 ივნისს თბილისში განვითარებული სტიქიის გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სტიქიის შედეგად დაღუპულ პირთა ოჯახებს სამიზმარს უცხადებენ.

„ჩვენი თანამემამულეები სრულ მზადყოფნას გამოთქვამენ დაზარალებულთა დასახმარებლად. მათი სოლიდარობა უპრეცედენტოა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაწყებული არსებობისათვის აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთების, ტანისამოსის, ჰიგიენური საშუალებების და საკვების, ასევე, ფულადი სახსრების მოზიარება. მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში დაგეგმილია საქველმოქმედო კონცერტები, საიდანაც შემოსული თანხებით, მოხდება 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება“, – განაცხადა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბრეგაძემ.



ინტერპრესი



⊙ ახალი შეგნებით ახალი სივლიხვა?

თამაზაძის სამინისტროს უწყებაში მიმდინარე პროცესები საჯარო სამსახურზე გამოაქვს და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისთვის მუდმივ მზადყოფნას გამოთქვამს.

„არ ვაპირებ ცრუ მოლოდინის გაჩენას, არც არავის მოტყუებას და არც პესიმიზმის გაღვივებას. ჩემი ამოცანა უმარტივესია: ქართველი ხალხი იმსახურებს იმას, რომ იცოდეს ზუსტად, რას აკეთებს მისი მთავრობა“, — აცხადებს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი და საქართველო-ნატოს ურთიერთობის საკითხზე საკმაოდ მკაფიო და თამამ განცხადებებს აკეთებს. ხიდაშელი განმარტავს, რომ მომავალი წლის ზაფხულისთვის დაგეგმილ ვარშავის სამიტზე ნატოსთან გეგმა B-სა და გეგმა C-ზე საუბარის ნაცვლად, საქართველოსთვის კონკრეტულ პასუხს, MAP-ს ელის.

„ეს არის საქართველოს ხელისუფლების პოზიცია და მე, როგორც თავდაცვის მინისტრი, ვსაუბრობ იმაზე, რისი ნებაც, სწორედ, ხელისუფლებისგან მაქვს“, — აცხადებს თინათინ ხიდაშელი.

სამინისტროში მიმდინარე პროცესებსა და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ თავდაცვის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებს ვაზიანის IV მექანიზირებული ბრიგადის საკონფერენციო დარბაზში შეხვდა.

გაფართოებულ შეხვედრას მინისტრის გარდა გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე და მინისტრის მოადგილეები — დავით ებრაელიძე და ბესიკ ლოლაძე დაესწრნენ. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირები.

შეხვედრის პირველი ნაწილი სტიქიის ზონებში თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა მიერ შესრულებულ და მიმდინარე სამუშაოებს შესახებ ანგარიშს დაეთმო. გენერალური შტაბის უფროსის განმარტებით, სალიკვიდაციო სამუშაოებში 13 ივნისის სტიქიის ღამიდან დღემდე 2800-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე იყო ჩართული და სტიქიის ზონებში 70 ერთეული ტექნიკა დღესაც აქტიურად მუშაობს.

თავდაცვის სამინისტროს პირველ პირებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. შემდეგ კი მინისტრმა სამინისტროსთვის პრიორიტეტულ ისეთ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება, როგორცაა: სამხედრო მოსამსახურეების სოციალური დაცვა, ჯარისკაცებს შორის თვითმკვლელობის შემთხვევების მალალი სტატისტიკა, არაქართული ენის ინტენსიური სწავლება, ბიზ-



# გამჭვირვალე თავდაცვა, MAP-ი და უბედური ქვეყნისთვის გამოუსადეგარი „კუმა“ — უპულებური...

ნესთან თანამშრომლობა და ჯარის პოპულარიზაცია. საქართველოს ნატოში განვლიანების საკითხზე ურუნალიტებთან საუბრისას კი თინათინ ხიდაშელი კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საქართველო MAP-ის მისაღებად ყველაფერს აკეთებს და კონკრეტულ შედეგსაც ამიტომ ელის.

„ჩვენ ვითხოვთ შემდეგ ეტაპზე გადავალს ნატოსთან ურთიერთობაში, ვითხოვთ ამას ცალსახად, ყოველგვარი დათქმების გარეშე. ჩვენ ვმოქმედებთ კონკრეტული გეგმით — უელსის პაკეტის განხორციელება მიმდინარეობს ძალიან მაღალი ტემპით და ძალიან პროგრესულად — ყველა ანგარიში, რომელიც იწერება, არის უაღრესად დადებითი და დავიწყებ უკვე შეხვედრები ჩვენს პარტნიორებთან. იცით, რომ შევხვდით ნატოს გენერალურ მდივანს, საფრანგეთის პრეზიდენტს, ვენაში შეხვედრი ნატოს წევრი ქვეყნების ხუთ თავდაცვის მინისტრს, ამ დღეებში მივდივარ მინისტრიალზე და პარტნიორი ქვეყნების მინისტრებთან ათზე მეტი შეხვედრაა დაგეგმილი. შემდეგ კი მივდივარ ვაშინგტონში — მთელი შემოდგომა უკვე დაგეგმილია. დეკემბერში კი არის საგარეო საქმეთა მინისტრიალი“, — აცხადებს თავდაცვის მინისტრი.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლის მოლოდინი

აქვს გენერალური შტაბის უფროსს ვახტანგ კაპანაძეს. გენერალ-მაიორი აცხადებს, რომ საქართველოს ნატოსთან თავსებადობის საკითხზე სამხედრო წრეებში კითხვები, პრაქტიკულად, აღარ ისმება.

„ბრიუსელში გამართულ გენერალური შტაბის უფროსების ბოლო შეხვედრაზე უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა, როდესაც მოხსენებით გამოვედით, კითხვაც კი არ დასმულა იმის შესახებ, როგორ მიდის საქართველოში რეფორმები, იყო მხოლოდ მხარდაჭერი რეპლიკები და გამოსვლები. ეს მიაჩნება იმაზე, რომ სწორ გზაზე ვდგევართ. პოლიტიკური მხარდაჭერის მიმართულებით, რა თქმა უნდა, არის საჭირო ერთობლივი ქმედებები — ეს ნება არა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებულ ძალებს, არამედ, მთელ ქვეყანას“, — აცხადებს ვახტანგ კაპანაძე.

თავდაცვის მინისტრს ურუნალიტებთან საუბარის საპარო თავდაცვითი სისტემების საკითხზე საფრანგეთთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და მიხილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს შექმნილ „პუშას ტიპის“ ფრანგულ კომფორტულ თვითმფრინავებზეც მოუხსია.

თინათინ ხიდაშელის განცხადებით, სისტემა, რომელიც საქართველომ ფრან-

გული კომპანიებისგან შეიძინა ყველაზე თანამედროვე, ტექნოლოგიურად ახალი და ნატოსთან თავსებადია. ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული კომფორტული თვითმფრინავების ბედი კი ჯერ გაურკვეველია და მისი რეალიზაციის ან სხვა დანიშნულებით გამოსაყენებლად კონკრეტული გადაწყვეტილებაც მისაღებია.

„ჩვენთვის ეს აბსოლუტურად გამოუსადეგარი ვერტიკალიზაციაა. გამოსადეგია მაშინ, თუ ცნოვრობ ბენდიერ ქვეყანაში შესაძლებელია, რომ მაგალითად, თავდაცვის მინისტრმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრეზიდენტმა, პრემიერმა ან სხვამ მაღალი რანგის სტუმრების ყოლის დროს სუპერთანამედროვე, უმაღლესი კლასის ვერტიკალიზაციით იფრინოს, მაგრამ ამაზე უარი თქვა ჩვენმა ხელისუფლებამ. თუმცა, თავისთავად ის, რომ ეს ვერტიკალიზაცია ამდენი ხანი გაჩერდა, იმიტომ რომ არ გაიყიდა, უკვე დამატებითი ხარჯია და შესაძლებელია ვისაუბროთ მათ გადაკეთებაზე, რომ სამხედრო საქმიანობისთვის იყოს გამოყენებული, ან გადაკეთდეს და სამხედრო უწყებებმა წაიღოს“, — განაცხადა თინათინ ხიდაშელმა.

თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებულ შეხვედრას დადებითად აფასებენ ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი უწყებისგან კიდევ უფრო გამჭვირვალე პოლიტიკას და შემგომი თანამშრომლობისთვის მზაობას ადასტურებენ.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავდაცვის სამინისტრო გახდეს კიდევ უფრო გამჭვირვალე და მეტად ჩაერთოს ამ პროცესში საზოგადოება. იმიტომ, რომ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს კვლავ სჭირდება სერიოზული რეფორმა, მუშაობა განსაკუთრებით განათლების კუთხით. სჭირდება მეტი წვრთნა, რომ გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები. კარგია, რომ მოვისმინეთ სამინისტროსგან ინფორმაცია სტიქიის ლიკვიდაციის სამუშაოებზე, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ასეთივე ინტენსიური ჩართულობა იყოს მთელ რიგ საკითხებზე, რაც შეიარაღებულ ძალებს შეეხება“, — განაცხადა საგარეო ურთიერთობების საკითხთა ექსპერტმა თორნიკე შარაშენიძემ.

ვაზიანში გამართული შეხვედრის ერთგვარი ბოლო აკორდი „ჯარისკაცის ულუფა“ იყო. მინისტრმა, თავდაცვის უწყების პირველმა პირებმა და შეხვედრის მონაწილეებმა ჯარისკაცებთან ერთად ისაუბრეს. სამხედროების თქმით, დღევანდელი ულუფა, სხვა დღეების ულუფების მსგავსი და კვლავ გამორიელი იყო.

მადლენა მაჭარაშვილი

⊙ პარპროსები მძლავრობენ!

ძარბაზის ენისადმი უდიდესი დამოკიდებულებამ ეს სიტყვები ათქმევინა გრიგოლ ორბელიანს მე-19 საუკუნეში. მძიმე განსაცდელშია ჩვენი მშობლიური ენა 21-ე საუკუნეშიც, რომელსაც არც სააკაშვილის ხელისუფლება სწავლობდა და არც ამჟამინდელი ხელისუფლება სწავლობს.

სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების, სახელმწიფო ენის ხელშეწყობის, ქართული სალიტერატურო ენის სინთეზის დაცვისა და ენის ნორმათა დამკვიდრების მიზნით 1997 წელს საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოცდილი სპეციალისტი, ბატონი ლევან ღვინჯილია. პრეზიდენტის დაქვემდებარებულმა ამ სტრუქტურამ, რომელიც მართლაც ქმედითუნარიანი იყო, მხოლოდ შვიდი წელი იარსება.



# „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ენის პალატა ჯერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაუქვემდებარეს, მოგვიანებით კი საერთოდ გააუქმეს.

ათ წელზე მეტია დღის წესრიგში აქტუალურად დგას ენის პალატის აღდგენის საკითხი, მაგრამ ეს პრობლემა, სამწუხაროდ, დღემდე მოუგვარებელია. საქართველოში ეროვნული, სახელმწიფო ენა სრულიად დაუცველია. ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენაა აფხაზურიც, ამიტომაც აფხაზეთთან დაახლოებისათვის, მათი ჩვენს შემობრუნებისათვის აუცილებელია ქართული და აფხაზური ენების რაიმე სტრუქტურის შექმნა. მისაღებია კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, ხელისუფლება კი არ იღებს კანონს სახელმწიფო ენის შესახებ. იმედია, ასეთი დავალება მათ ამერიკიდან არ მიუღიათ, არადა მიზერული თანხის გამოყოფაა საჭირო ბიუჯეტიდან, მაშინ როდესაც მილიონობით ლარი იხარჯება სხვადასხვა უაზრობაში.

ქართული ენის გასაცოდავებულ მდგომარეობას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით კოლხეთის ძირძველ მინაზე — ზუგდიდში. განსაკუთრებით თვალში საცე-

მია შენობა-ნაგებობების, დანსებულებების ფასადებზე გაკრული აბრები, ფირნიშები, ბანერები, რეკლამები და ა.შ. სადაც აშკარა უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენას, უფრო მეტიც, ქართული წარწერები ბევრგან საერთოდ არ გვხვდება. ყოველივე ამის თაობაზე განვუცხადე ზუგდიდის ქალაქის საკრებულოს, მერიის მაღალჩინოსნებს: სანამ ქართული ენის რაიმე დამცავი მექანიზმი შეიქმნება საქართველოში, მანამდე საკუთარი ძალებით (დროებითი კომისიის შექმნა) ეზრუნათ ქართული ენის სინთეზისა და დაცვისათვის. იდეა მოენათო, იყო შეპირებაც, მაგრამ შეპირებას შესრულება არ მოჰყოლია, არადა ამის შესაძლებლობა და სახსრები მათ აქვთ.

ლალო ძირია, ბუგდიდი



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისს ურჩიან მომენტი გამოიყენოს

23 ივნისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოვიდა მოსკოვსა და ცხინვალს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების რატიფიკაციის კრიტიკით. თბილისში მოუწოდეს, საერთაშორისო გაერთიანებას „მოახდინონ შესაბამისი ზემოქმედება რუსეთზე“ 19 ივნისს სახელმწიფო დუმის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის წინააღმდეგ. საქართველოს ხელისუფლებას განზრახული აქვს, ეს საკითხი წამოაყენოს უნდვის მომავალ დისკუსიებზეც.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორშაბათის ტრადიციული ბრიფინგის ერთ-ერთი მთავარი საკითხი გახდა შეთანხმება მოკავშირეობის შესახებ და ინტეგრაცია მოსკოვსა და ცხინვალს შორის. დოკუმენტი რატიფიცირებული იყო სახელმწიფო დუმის მიერ გასულ პარასკევს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმავე დღეს დაგმო ეს მოქმედება სპეციალური წერილობითი განცხადებით, რის შემდეგაც 23 ივნისს გვაცნობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა დავით კერესელიძემ: „კრემლის ეს მოქმედება არის საქართველოს განუყოფელი ნაწილის ანექსიისაკენ გადადგმული ნაბიჯი. ამით რუსეთი არღვევს ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო გაერთიანებას, მისცეს შესაბამისი შეფასება რუსეთის ამ მოქმედებებს და მოახდინონ მასზე შესაბამისი ზემოქმედება“.

თუ რა ზემოქმედებაა, ეს, ამის შემდეგ დაავით კერესელიძემ არ დააზუსტა. მან მხოლოდ დაუმატა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აპირებს, განიხილოს ეს საკითხი უნდვის დისკუსიის დროსაც, რომლის შემდგომი რაუნდით დაგეგმილია 30 ივნისი-1 ივლისისათვის.

წინა დისკუსიები, სხვათა შორის, თითქმის ჩაიშალა სწორედ უნდვის შემდეგ რამდენიმე ხნით ადრე მოკავშირეობის შესახებ შეთანხმებისა და ვლადიმერ პუტინისა და ლეონიდ თიბილოვის მიერ ხელმოწერილი ინტეგრაციის გამო. საქართველოს ხელისუფლებამ ასეთი „თანხვედრა“ მიიჩნია „წინასწარ განზრახულად და პროვოკაციის მიზნად“.

სხვათა შორის, ეს შეთანხმება, რომელიც უკვე რატიფიცირებულია, ერთადერთი როდია, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს უნდვის მომავალ დისკუსიებს. 3 ივნისს გაეროს გენერალურმა მდივანმა მიიღო მორიგი რეზოლუცია, რომელიც შეესაბამება ქართველ ლტოლვილთა უფლებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაბრუნების შესახებ. რეზოლუციას მხარი დაუჭირა 75 ხმამ, მაშინ როდესაც შარშან ასეთი ქვეყანა იყო მხოლოდ 69. მომხრე ქვეყნების რიცხვების ზრდა თბილისში შეაფასეს, როგორც დიპლომატიური გამარჯვება. თუმცა მოსკოვში, სოხუმსა და ცხინვალში რეზოლუციას შეხვდნენ უარყოფითად. ამის გამო გაჩნდა ვარაუდი, რომ გენერალური ასამბლეის რეზოლუციამ შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს შესვლად აფხაზეთში.

„ამ ეტაპზე ასეთი საფრთხე არაა“, – განუცხადა ჩვენ გაზეთს შერიგებისა და სამოქალაქო თანხმობის განყოფილების სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ციხელაშვილმა.

ქეთევან ციხელაშვილის სიტყვებით, ქართული დელეგაცია მიემგზავრება უნდვის კონსტრუქციული მუშაობის განწყობილებით.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ურთიერთობათა ყველა სპეციალისტი როდია კმაყოფილი საქართველოს ხელისუფლების მოქმედებით. რეზოლუციის ასოციაციის თანამდებობებზე ელენე ხოშტარია მიიჩნევს, რომ განცხადება ალფოთების შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან არასაკმარისია. საჭიროა გადავიდეთ უფრო წინმსწრე და აქტიურ მოქმედებებზე, მაინც ხოშტარია.

ელენე ხოშტარია დარწმუნებულია, რომ ამ მიმართულებით საქართველოს აქვს რეალური შანსი, მიაღწიოს წარმატებას. მით უმეტეს, რომ წინა დღით ევროკავშირმა კიდევ 6 თვით გაახანგრძლივა ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ.



## თბილისი სხინვალთან სხელმწიფო დუმის სინტეზისკენ შეთანხმების რატიფიკაციის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს

სამხრეთში საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთი ოსეთის სამოკავშირეო ხელშეკრულების რატიფიკაცია შეაფასა როგორც „ერთ-ერთი ნაბიჯი საქართველოს განუყოფელი ნაწილის ანექსიის მიმართულებით“.

„ცხინვალის რეგიონი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს... ეს მოქმედებები მთლიანად ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს და ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორებიცაა სახელმწიფო სუვერენიტეტი, საზღვრების ხელშეუხებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და საერთაშორისო სამართლის მიერ დაკისრებული ვალდებულებების კეთილსინდისიერ შესრულება“, – განაცხადა 22 ივნისს ბრიფინგზე საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების პრეს-სპიკერმა დავით კერესელიძემ.

როგორც კერესელიძემ აღნიშნა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მართა საერთაშორისო თანამეგობრობას მოწოდებები მოახდინოს შესაბამისი ზემოქმედება მოსკოვზე მოსკოვის მხრიდან კვლავ მიმდინარე და საბოლოო ოკუპაციის თავიდან აცილების მიზნით.

შეგახსენებთ, რომ 19 ივნისს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მოახდინა შეთანხმების რატიფიკაცია „მოკავშირეობის შესახებ“, რომელსაც ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელმა ლეონიდ თიგილოვმა 2015 წლის 18 მარტს. დოკუმენტს მხარი დაუჭირა 414 დეპუტატმა და ერთმა თავი შეიკავა.



სამხრეთ ოსეთს დამატებით გამოეყოფა ერთი მილიარდი რუბლი, მაგრამ ამის გარდა, მოსკოვი ასევე აპირებს გამოუყოს ცხინვალს 9 მილიარდზე მეტი თანხა სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების რეალიზაციისთვის. ამავე დროს, მთლიანად, რუსეთის პრეზიდენტის თანახმად, 2008 წლიდან 2014 წლამდე სამხრეთ ოსეთს გამოეყო საფინანსო დახმარება რუსეთის ფედერაციის მხრიდან 43 მილიარდი რუბლის ოდენობით.

23 იანვარს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მოახდინა მსგავსი შეთანხმების რატიფიკაცია აფხაზეთთან. ამ შეთანხმებას „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ხელი მოეწერა 2014 წლის 24 ნოემბერს სოჭში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და აფხაზეთის ხელმძღვანელის რაულ ხაჯიმბას მიერ. მასში გათვალისწინებულია საერთო თავდაცვითი ინფრასტრუქტურის ფორმირება, აგრეთვე რუსი და აფხაზი ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნა გაერთიანებული სარდლობით.

აფხაზეთისა და ცხინვალის მიზნით, სამხრეთ ოსეთში თავის დროზე უკმაყოფილებების მიზეზი გახდა ის, რომ იგი „არასაკმარისად“ ინტეგრაციულია, მაშინ, როდესაც, ადგილობრივი პარტნიორების თავემდომარის ანატოლი ბიბილოვის სიტყვებით, სამხრეთ ოსეთს სჭირდება „მაქსიმალური ინტეგრაცია რუსეთის ფედერაციასთან“.

შეერთებული შტატები, ნატო და ევროკავშირი ადრე აცხადებდნენ, რომ არ აღიარებენ „როგორც შეთანხმებათა დამოუკიდებლობას“ და მოუწოდებდნენ რუსეთს, იკისროს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებანი. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მასში მიიღო დადგენილება, რომელშიც დაგმო რუსეთი შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო სამართლის დარღვევის გამო. დოკუმენტში საუბარია იმის შესახებ, რომ შეთანხმებანი რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის „დამლუპველია რეგიონში უშიშროებისა და სტაბილურობისათვის“.

### სხინვალის უფასოება

სამხრეთ ოსეთში შეთანხმებას რუსეთთან განიხილავენ როგორც ამ სეპარატისტული რეგიონის „უსაფრთხოებას“. როგორც შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ ლეონიდ თიბილოვმა განაცხადა, „ამას ელოდებოდა, პრაქტიკულად, მთელი სამხრეთი ოსეთის ხალხი“. ამავე დროს სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელობამ მაძლობა გადაუხადა სახელმწიფო დუმის დეპუტატებს.



### დედაქალაქის ზურგზე



**ხმოვილი გახდა „ლილი ვილანის“ მორიგი სამიტი სამიტი თბილისში. პატივის მიწვევა „ქითხის ნიშნის ქვეშა“**

„დიდი შვიდეულის“ მორიგი სამიტი იაბონის ქალაქ სიმას რაიონში გაიმართება კუნძულ ისე-სიმაზე 2016 წლის 26-27 მაისს. ამის შესახებ განაცხადა ტოკიოში პრესკონფერენციაზე სამშაბათს მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა იოსინიდესუგამ, რომელმაც აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ემყარება „დიდი შვიდეულის“ გრაფიკების შეთანხმებას.

**სააკაშვილმა ისაუბრა ქრემლის ახალ პროექტზე ბენარაბიში**



სააკაშვილმა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ დაათვალიერა ეს ტერიტორია, აღნიშნა, რომ ბენარაბიის მცხოვრებლები პრაქტიკულად მხოლოდ რუსულ არხებს უყურებენ. ისინი იზოლირებული არიან დანარჩენი უკრაინისგან და ერთადერთი, რასაც ისინი ხედავენ, ესაა ძუნწი ჩინოვნიკები და საშინელი გზებში.

**ეკავენი ვლადიმერის ნინააღმდეგ გამოსვლის წინააღმდეგ პროტესტი**



იტყობინებენ, რომ დაკავებული რამდენიმე ასეული ადამიანი, „თქვენი მოქმედებები უკანონოა“, – განაცხადა პოლიციის ქალაქის სამმართველოს უფროსის მოადგილემ პოლკოვნიკმა ვალერი ოსიპიანმა. – პოლიცია მოითხოვს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები.

**საბურჯის 3 მთხარა მოხვდა „ქანინის“ ზონის სურათზე**

გამოსახულებაზე, რომელიც მიმდინარე წლის 25 მარტს გააკეთეს, სატურჯის თანამგზავრები ტიტანი, მიმასი და რეია წარმოდგენილი არიან ნახევარმთხარების სახით. გადაღების დროს ისინი „კასინიდან“ სხვადასხვა მანძილზე იმყოფებოდნენ. მიღებულმა სურათმა აჩვენა არსებითი სხვაობა თანამგზავრებს შორის.



# განცხადება

**ჩქაროსნული ავტომობილის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირების უფლების მოპოვებისათვის ინტერესთა გამოხატვის თაობაზე**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეყნო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აცხადებს ინტერესთა გამოხატვას ჩქაროსნული ავტომობილის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა (ქ. თბილისიდან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით) მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირების უფლების მოპოვებისათვის და მონაწილეობის მისაღებად იწვევს საქართველოში ან უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მსურველს 2015 წლის 24 ივნისიდან 1 ივლისის 12:00 საათამდე, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობისათვის აუცილებელ ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტაციის (მათ შორის ინტერესთა გამოხატვის პრობების, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმების, მომსახურების კომპლექსის კონცეპტუალური მოდელის, დეტალური პროექტის ძირითადი მაჩვენებლების და პარამეტრების, მომსახურების კომპლექსის განთავსებისა და ოპერირების უფლების მინიჭების თაობაზე ხელშეკრულების პროექტის) გაცნობა შეუძლია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე ([www.mrdi.gov.ge](http://www.mrdi.gov.ge)), საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე ([www.georoad.ge](http://www.georoad.ge)), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)), ამასთან აღნიშნული დოკუმენტაცია გასაცნობად გადაეცემათ კანდიდატებს, მოთხოვნის შემთხვევაში. ამავე პერიოდში (2015 წლის 24 ივნისიდან 1 ივლისის 12:00 საათამდე) განხორციელდება განაცხადების მიღება ჩქაროსნული ავტომობილის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირების უფლების მოპოვებისათვის ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მისაღებად (მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი №12).

2015 წლის 1 ივლისს 12:00 საათზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი №12) კანდიდატთა დასწრებით ჩატარდება ინტერესთა გამოხატვა. კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ინტერესთა გამოხატვის ფორმით ჩქაროსნული ავტომობილის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირების უფლების გამოცემის თაობაზე საავტომობილო გზების დეპარტამენტი (მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი №12).

ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული მოიპოვებს უფლებას ჩქაროსნული ავტომობილის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირებაზე.

## Request for Expression of Interest

**to obtain the right to arrange and operate service area along the left hand side of road in the vicinity of Terjolturning (at three kilometers) of the E-60 highway**

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia announces Expression of Interest for obtaining the right to arrange and operate service area along the left hand side of road (from Tbilisi towards west Georgia) in the vicinity of Terjola turning (at three kilometers) of the E-60 highway and invites legal entities registered in Georgia or in foreign country to participate.

Interested legal entities may examine documents necessary for taking part in Expression of Interest (including conditions of Expression of Interest, criteria for identifying the winner, conceptual model of service area, main characteristics and parameters of detailed design, draft contract for obtaining the right to arrange and operate the service area) at the website of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia ([www.mrdi.gov.ge](http://www.mrdi.gov.ge)), website of Roads Department of Georgia ([www.georoad.ge](http://www.georoad.ge)), website of State Procurement Agency ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)) from June 24, 2015 to July 01, 2015 till 12:00 p.m. Interested candidates may also obtain mentioned documents for examination, if requested. Meanwhile (from June 24, 2015 till 12:00 pm. of July 01, 2015), applications will be received (address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, Georgia) for participation in Expression of Interest to obtain the right to arrange and operate service area along the left hand side of road in the vicinity of Terjola turning (at three kilometers) of the E-60 highway.

Expression of Interest will take place in presence of candidates at Roads Department of Georgia (address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, Georgia) on July 01, 2015 at 12:00 p.m. Attendance of candidates is mandatory.

Roads Department of Georgia (address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, Georgia) is authorized to grant the right for arrangement and operation of service area along the left hand side of road in the vicinity of Terjola turning (at three kilometers) of the E-60 highway in the form of Expression of Interest.

The winner will obtain the right to arrange and operate service area along the left hand side of road in the vicinity of Terjola turning (at three kilometers) of the E-60 highway.

## ღმერთმა ქნას, ეს კატასტროფა გაკვეთილი ყოფილიყოს!



პროფესორი დავით იაკობიძე სტიქიის შედეგებზე სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს:

„ვეუსმენ ტელევიზორში 13 ივნისის საშინელი „წარღვრის“ შესახებ გამოსვლებს და უკმაობის გრძობა მიჩნდება. ყველა გამომსვლელი საინტერესო საკითხს სვამს, საუბრობს იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც შეინიშნება ჩვენს ქალაქმშენებლობაში. არ ჩანს სერიოზული ანალიზი იმისა, რაც მოხდა.

● წყალიდობა ივნისის თვეში თბილისისთვის უჩვეულოა, როგორც წესი, ჩვენს ქალაქში წყალმეტობის პრობლემები აპრილ-მაისში ხდება;

● წყლის რაოდენობა ბევრად აღემატებოდა საგარეო მაქსიმუმს 260 კუბ/წამში, წინასწარი მონაცემებით, ვარაუდობენ 800 კუბ/წამში.

● 13 ივნისს ვერეს ადიდების შედარება 1960 წლის წყალდიდობასთან შეცდომაა, რადგან, მაშინ ზოობარკის დამცავი კედლის სიმაღლე იყო ტერიტორიის დატბორვის მიზეზი და არა გვირაბი.

თუ ამ ფაქტებზე დაფიქრდებით და იმასაც გაეფიქრებინებთ, რომ თბილისის დღევანდელ ლანდშაფტურ დიზაინში ქარბად გამოიყენება სუბტროპიკული მცენარეები, რომლებიც ამ 20-30 წლის წინათ თბილისში უბრალოდ ყოველ ზამთარს იყინებოდა, დაგრწმუნდებით, რომ დედაქალაქის კლიმატი არსებითად შეიცვალა.

ამგვარად არსებობს კატასტროფის მიზეზი, რომელიც ჩვენზე დამოკიდებული არ ყოფილა. ამას მეცნიერები გლობალურ დატბობას უწოდებენ. დგება საკითხი, უნდა გაგვეთვალისწინებინა თუ არა ეს დიდი

სიახლე, რაც ბუნებრივი ძალების ცვლილებებს უკავშირდება?

